



## თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის უსაფრთხოების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში-უნივერსიტეტი/თოუ) უსაფრთხოების წესი (შემდგომში - წესი), განსაზღვრავს და არეგულირებს უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პროცედურებს.

### მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

1. თანამშრომელთა და სტუდენტთა უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით თოუში შექმნილია საგანგებო შტაბი, დამტკიცებულია საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები (იხ. დანართი 1)

2. თანამშრომელთა და სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვას ასევე უზრუნველყოფს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, რომელიც:

ა. იცავს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

ბ. უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოებას;

გ. უზრუნველყოფს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას.

დ. უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობაში უნარშეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

### მუხლი 3. უსაფრთხოების უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციებში

1. საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, ქიმიური და რადიაციული საფრთხეები და სხვ.) უნივერსიტეტის საგანგებო შტაბის საევაკუაციო ჯგუფის უფროსის მიერ, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად, შემუშავებულია და დამტკიცებულია ევაკუაციის პროცედურები, განსაზღვრულია შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები (ევაკუაციის გეგმა), განთავსებულია მათზე მანიშნებელი ნიშნები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. ევაკუაციის გეგმა გამოკრულია ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას.

2. საგანგებო ვითარების დროს საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო შტაბის საევაკუაციო ჯგუფის უფროსი და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უკავშირდება საგანგებო სიტუაციათა მართვის სამსახურს (112).

3. ხანძრის შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქცია გაწერილია დანართში (იხ. დანართი 2) .

#### **მუხლი 4. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა**

1. უნივერსიტეტში არსებობს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. კაბინეტი ნიადაგზე ბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდება ცხელი და ცივი წყლით; კაბინეტში განთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და იმყოფება კვლიფიციური მედდა. ამის შესახებ ინფორმირებულნი არიან სტუდენტები და პერსონალი. სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლს ახორციელებს ექიმი.

2. ისეთი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროებისას, რომლის კომპეტენცია არ აქვს უნივერსიტეტს, ოპერატიულად გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარება.

3. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ვალდებულება აკისრიათ ასევე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს.

4. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას მედიკამენტების ვარგისიანობაზე, ამისათვის მუდმივად ხდება არსებული და შესაძენი მედიკამენტების ვადის გადამოწმება და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ მათი გამოყენება.

#### **მუხლი 5. გარდამავალი დებულებანი**

1. უნივერსიტეტს აქვს უფლება განახორციელოს ისეთი ქმედება უსაფრთხოების დასაცავად, რაც ამ წესით არ არის განსაზღვრული, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და დამდგარ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის გამოც საჭირო გახდება ასეთი წესების გამოყენება.

#### **მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი**

1. ამ წესს ამტკიცებს აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი.

2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ